



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**  
**ბ რ ძ ა ნ ე მ ბ ა**



№ 15

„12“ 12 2019 წ.

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში წარმომადგენლის ასარჩევად არჩევნების დანიშვნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტის, 22- მუხლი პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ემუხლის მე-2 ნაწილის, 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის N92 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

გბრძანებ:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ერთი სტუდენტისთვის საბჭოს წვრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო, წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით დაინიშნოს არჩევნები ერთი სტუდენტის ასარჩევად იურიდიულ ფაკულტეტზე.
2. არჩევნებში მონაწილე კანდიდატების რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 13 დეკემბრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით.
3. არჩევნები ჩატარდეს 2019 წლის 26 დეკემბერს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ.
6. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების დაგზავნა იურიდიული ფაკულტეტისთვის, საარჩევნო კომისიისთვის და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილებისთვის.



7. დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილებას აღნიშნული ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.

8. საფუძველი: საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2019 წლის 12 დეკემბრის განცხადება N1706274

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებალიშვილის ქ. N62.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მაკა ბერიძე